სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის)

ბრძანება №01-09-10/71

ქ. თბილისი 12 06 2020

ქვეყანაში შექმნილ ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით სტუ-ს ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის N 01-149/ო და 2020 წლის 29 მაისის N 01-227/ო ბრძანებებით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის N 01-149/ო და 2020 წლის 29 მაისის N 01-227/ო

ბრძანებებით გათვალისწინებული რეკომენდაციების (შემდეგში - რეკომენდაციები) შესრულების მიზნით:

ა) უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მართვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურსა (ნ. ნებიერიძე) და შესყიდვების დეპარტამენტს (ე.ივანიშვილი) დაევალოს რეკომენდაციებით გათვალისწინებული აღჭურვილობების/საშუალებების შეძენა/მომარაგება;

ბ) უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მართვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს (ნ. ნებიერიძე) დაევალოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების (ფაკულტეტი, სკოლა, ლაბორატორა, საუნივერსიტეტო საგამოცდო ცენტრი, ინსტიტუტი, ცენტრი და სხვა) რეკომენდაციებით გათვალისწინებული საშუალებებით უზრუნველყოფა (დეზობარიერი, ტემპერატურული კონტროლის საშუალება, ხელის დასაბანი საშუალებები - თხევადი საპონი, 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი ხსნარი, ერთჯერადი ხელსახოცი, დახურული კონტეინერები გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისათვის), შენობის შესასვლელებთან 2მ. დისტანციის მონიშვნების აღნიშვნა, შენობებში ალტერნატიული გასასვლელის მოწყობა შესაბამისი მონიშვნებით,

გ) უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ადმინისტრაციის დამხმარე პერსონალის ინფორმირება/ტრეინინგი ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მის შენახვა/მოცილებაზე, შესაბამისი ჟურნალის წარმოება ინფორმირების/ტრეინინგის თაობაზე პერსონალის ხელმოწერისთვის;

დ) უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს ყველა სხვა პერსონალის (აკადემიური, მასწავლებლის, სამეცნიერიო, მოწვეული პროფესორების/სპეციალისტების, დამხმარე პერსონალის) ინფორმირება/ტრეინინგი ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მის შენახვა/მოცილებაზე, შესაბამისი ჟურნალის წარმოება ინფორმირების/ტრეინინგის თაობაზე პერსონალის ხელმოწერისთვის;

ე) უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების დეპარტამენტმა (რ. ქელდიშვილი) უზრუნველყოს უნივერსიტეტის სამუშაო სივრცეში რეკომენდაციებით გათვალისწინებული საინფორმაციო მასალის განთავსება, ადმინისტრაციული და სასწავლო კორპუსების, ასევე ლაბორატორიებისა და საგამოცდო ცენტრის შესასვლელებში დეზობარიერების და ხელის სადეზინფექციო ხსნარების განთავსება და სამუშაოს/გამოცდის დაწყების წინ პერსონალის/სტუდენტის ტემპერატურული კონტროლის განხორციელება, შენობაში დაშვება მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ნიღაბი, ხელთათმანი, სახის დამცავი ფარი/დამცავი სათვალე, ბახილები, სპეცტანსაცმელი/ხალათი - სპეციფიკის გათვალისწინებით);

ვ) უნივერსიტეტის შენობა/ნაგებობებში არსებულ სველ წერტილებში ხელის ჰიგიენური საშუალებების და მათი სწორად მოხმარების წესების განთავსება უზრუნველყოს ფაკულტეტის მენეჯერებმა/კორპუსის კომენდანტებმა ;

ზ) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ თავიანთ კომპეტენციაში არსებულ ერთეულებში რეკომენდაციების შესრულების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელება, სამუშაო ადგილების დეზინფექცია და განიავება/ვენტილაცია;

თ) უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ გეგმის შემუშავება პერსონალის მიღების მიზნით და კონტროლი პერსონალის მიერ რეკომენდაციებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე;

ი) უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტმა უზრუნველყოს გეგმის (ცხრილი) შემუშავება სტუდენტების მიღების მიზნით რეკომენდაციების (სანიტარული შესვენება და სხვა) გათვალისწინებით;

კ) უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების დეპარტამენტმა (რ. ქელდიშვილი) უნივერსიტეტის პოლიკნიკასთან (ლ.ბასილაია) უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციაში მოქმედების გეგმის შემუშავება და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან წარმოდგენა, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20ივნისისა;

2. ბრძანება საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

3.ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს კანცელარიას;

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კარლო კოპალიანი